«კამელინი»

შესანიშნავი საშუალებაა პროსტატიტების და ადენომების სამკურნალოდ

პრეპარატმა „კამელინმა“ გაიარა ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა, რის შედეგადაც დადგენილ იქნა მისი იმუნომოდულატორული, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანტიბლასტომური, ანუ სიმსივნის საწინააღმდეგო და სხვა თვისებები. პრეპარატ „კამელინის“ სამკურნალო შესაძლებლობები ამოუწურავია, რაც მრავალჯერ დადასტურდა ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევებით, როგორც მსოფლიოს უდიდეს და წამყვან სამედიცინო ცენტრებში, ასევე საქართველოში. „კამელინზე“ დღესაც აქტიურად მიმდინარეობს კლინიკური კვლევები სხვადასხვა მიმართულებით, რის საფუძველზეც პრეპარატი იძენს ახალ მიმართულებებს და ავლენს ფართო გამოყენების ჩვენებებს. ბალნეოლოგიური კურორტის სამედიცინო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში პრეპარატ „კამელინზე“ ჩატარებული კლინიკური კვლევის შედეგებზე უროლოგიური დაავადებების, კერძოდ, ქრონიკული ბაქტერიული პროსტატიტების, ქრონიკული ურეთრიტების და პროსტატის ადენომების დროს, გვესაუბრება უროლოგი ზაზა ბაინდურიშვილი.

— ბატონო ზაზა, გვიამბეთ კვლევების შესახებ და იმ ჩვენებებზე, რომელიც გამოვლენილ იქნა „კამელინით“ მკურნალობის შემდეგ.

— მოგეხსენებათ, ჩვენი კლინიკა ერთადერთია ამიერკავკასიაში, სადაც ზოგადად სამკურნალო პროცესი, მათ შორის წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატიტები, პროსტატის ადენომა, ერექტილური ფუნქციის დაქვეითება და სხვა უროლოგიური დაავადებები) მკურნალობა ხორციელდება როგორც თანამედროვე მედიკამენტოზული სქემებით, აგრეთვე ისეთი უნიკალური ბუნებრივ-საკურორტო და პრეფორმირებული ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით, როგორებიცაა ტალახის რექტალური ტამპონების და აპლიკაციების, სხვადასხვა სახის წყლის ჭავლით, ლაზერით, კომბინირებული დასხივების აპარატების გამოყენებით. „კამელინის“, როგორც ბუნებრივი იმუნომოდულატორის, ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიოციდული საშუალების მონოთერაპიის სახით ჩართვა მკურნალობაში ამიტომ გადაწყვიტეთ. კვლევაში მონაწილეობდა 30 პაციენტი (31-დან 66-წლამდე მამაკაცები), რომლებსაც ჰქონდათ ქრონიკული ბაქტერიული პროსტატიტი, თანდართული ცისტიტით და ურეთრიტით, სამ პაციენტს კი პროსტატის ადენომა 1-2 ხარისხის.

პაციენტები შემოსვლისას ისინჯებოდნენ, ხდებოდა მათი სუბიექტური და ობიექტური მონაცემების შეგროვება. პათოლოგიის აღმოჩენის შემთხვევაში იწყებოდა მათი ლაბორატორიული (შარდის საერთო ანალიზი, პროსტატის წვენის ბაქტეროსკოპია და ბაქტერიოლოგია) და ინსტრუმენტული (შარდის ბუშტის და წინამდებარე ჯირკვლის ექოსკოპია, რექტალური გასინჯვა, PSA) კვლევა.

— გავაგრძელოთ კვლევებზე საუბარი...

— დიაგნოსტიკური კვლევებით დადგინდა დიაგნოზი და მკურნალობა დავიწყეთ: „კამელინM1“-ის ინიექცია დილით, ღამით, ძილის წინ „კამელინM4“-ის სანთლები რექტალურად, მკურნალობის ხანგრძლივობა მოიცავდა 20 დღეს. მკურნალობა მიმდინარეობდა როგორც მონოთერაპიულად (20 პაციენტში), ასევე კომპლექსურად ანტიპროტოზოული და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით (10 პაციენტში).

ჩატარებული მკურნალობის შედეგად, პაციენტების მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა პროსტატის სეკრეტში ლეიკოციტოზის სარწმუნო შემცირებით და პროსტატის მასის შემცირების სარწმუნო დინამიკით, აგრეთვე პროსტატის ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებით. მინდა, განსაკუთრებით გამოვყო კვლევაში მონაწილე 2 პაციენტის მდგომარეობა პროსტატის ადენომის და წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნის და ქრონიკული ტრიქომონადური პროსტატიტის შემთხვევაში, თუ როგორ გამოიხატა „კამელინის“ მოქმედების მექანიზმი ასეთ მოკლე დროში (20 დღე). ეს ის შედეგებია, რომლებიც ჩემს პრაქტიკაში არ მიღწეულა არცერთი თერაპიული მკურნალობის შედეგად. რა თქმა უნდა, ადენომების შემთხვევაში კლინიკური კვლევები უფრო უნდა გაღრმავდეს, ანუ უფრო მეტ შესწავლას საჭიროებს.

პაციენტი ქ.დ (49 წლის): დიაგნოზი — **ქრონიკული ტრიქომონადური პროსტატიტი.** პროსტატის მოცულობა — 64,3 სმ^3, ქსოვილი სისქეში — პერიფერიულ ზონებში ისახებოდა არასწორკონტურიანი შერეული ექოგენობის და ექოსტრუქტურის მოცულობითი წარმონაქმნები დიამეტრით 22, 21, 18 მმ. ნარჩენი შარდი — 40 მლ. „კამელინით“ მკურნალობის 1 კურსის შემდეგ ულტრაბგერითი კვლევებით დაფიქსირდა: პროსტატის მოცულობა — 36 სმ^3, პროსტატის პერიფერიული ნაწილი კეროვანი ცვლილებების გარეშე, ანალიზი (ლეიკოციტოზი — 30-35-დან შემცირდა 10-15-მდე).

პაციენტი დ.ბ. (57 წლის): დიაგნოზი — **პროსტატის ადენომა.** პროსტატის მოცულობა — 80,4 სმ^3, PSA (პროსტატის სპეციფიკური ანტიგენი) — 8,0. „კამელინით“ მონოთერაპიული მკურნალობის ერთი კურსის შემდეგ პროსტატის მოცულობა — 49,9 სმ^3, PSA 6-მდე შემცირდა.

— ბატონო ზაზა, გაგვაცანით ბალნეოლოგიური კურორტის საბოლოო დასკვნა ამ კვლევების საფუძველზე...

— აღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ **პრეპარატი „კამელინი M1“ ინიექცია** და **„კამელინი M4“ სანთლები** შეიძლება გამოყენებულ იქნას მონო და კომპლექსური თერაპიის სახით, **ქრონიკული პროსტატიტების და ქრონიკული ურეთრიტების, ასევე ადენომების დროს.** მაღალი თერაპიული ეფექტის საფუძველზე „კამელინი“ შეიძლება უფრო ფართოდ დაინერგოს უროლოგიაში. ამ კვლევებიდან „კამელინმა“ გამოყენების ჩვენებების თვალსაზრისით შეიძინა კიდევ ერთი მიმართულება უროლოგიაში.

„კამელინის“ ბაზაზე დამზადებული პრეპარატები: **„კამელინი M-1“ — ამპულები, „კამელინი M-2“ — კაფსულები, „კამელინი M-3“ — მალამო** და **„კამელინი M-4“ — სანთლები** არ იწვევენ არავითარ გვერდით მოვლენებს, გამოირჩევიან უნივერსალური მოქმედების მექანიზმით როგორც ბაქტერიულ, ვირუსულ, სოკოვან, ონკოლოგიურ, გინეკოლოგიურ და სხვა დაავადებებთან მიმართებაში და ასევე არიან შესანიშნავი, იმუნური სისტემის (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთო) გამაძლიერებლები და მათი ფართოდ გამოყენება პროფილაქტიკის მიზნითაც მეტად მნიშვნელოვანია.

ზაზა ბაინდურიშვილს მიმართეთ: 895-55-77-33.

მოამზადა

მაია ცომაიამ

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, **დარეკეთ:** 98-57-78; 93-20-87; 98-62-25 (ოფისი); 45-33-68; 22-26-68; 75-04-08; 899-33-10-89; 877-73-56-51, 899-23-03-33.

WWW.CAMELYN.GE